

მარტი

№ 12, 2017



გალობრძენ

ახორ

2018

ნოემბერ



ბუნების

სინთეზიკოსები

მერცხალი მაღლა ტრიალებს –
ავდარი დაიგვიანებს,
თუ დაბლა ჩამოფრინდება,
ცა ღრუბლით დაიბინდება;

მობუზულია ყვავი,
დედაბერივით ჩხავის,
ფუტკარი არსად დაფრენს –
ამინდი მოდის ავი;

თოლია ქვიშაზედაა –
მეთევზეების სევდაა;
თოლია წყალზე დაჯდება
და დარკეთილი დადგება;

ზურგქარში მარცხნივ გახედე,
დაჰკვლიე, როგორ არიან:
ღრუბელი მოდის – იავდრებს,
ცანმინდა მუდამ დარია;

როცა სტვენია სტვენს,
ზამთრის სულს მოაფრენს,
როცა სარკმელთან ზის,
მოლოდინი აქვს მზის;

გედი თოვლისკენ მიფრინავს,
ღერღეტი* წვიმას მოჰყავს,
იხვი ნიავში ფარფატებს,
მზე უხარია ოყარს*.

თუკი მზე ნისლის რგოლშია,
თუკი თოვლია ფაფუკი
და შიგ ნაგაზი გორაობს,
გვიახლოვდება ქარბუქი.

ძლიერ ციმციმებს ვარსკვლავი,
მთვარე ჯვარშია, წრეშია,
მინაზე ჭრელოებია –
მაშ, ყინვას უთარეშია;

შემოფრენილა ჭილყვავი –
გადნება ყინვა მჭირხლავი;

მოფრინდა ბოლოქანქარა –
წყალზე ყინული გამქრალა;

ფრთები გაშალა ტიტამ
და მზემაც თვალი ჭყიტა;

ამინდი ბუნებისაა,
მთავარი მაინც გულია,
ნეტავ, გულს, ზამთარ-ზახულში
რომელშიც გაზაფხულია.

მხატვარი
ანა კანდელაკი

ღერღეტი (ღერღედი) – ძვ. ბატი
ოყარი – იგივეა, რაც ყანჩა

სუსტონის ბარაზე



მხატვარი
ვაჟა ქურჩული


სამზევეთის ტყეში ბარაქიანად თოვდა. აქ ერთი ძველი ჩვეულება ჰქონდათ, გოზინაყს ყოველთვის ახალ წლამდე ერთი დღით ადრე ამზადებდნენ და ამ დღიდ საქმეში თავისი მცირეოდენი წვლილის შესატანად უკლებლივ ყველა ნაძვნარში იკრიბებოდა.

ამ დროს ყველა ძველ წყენას ივინწყებდნენ. ეს ერთადერთი დღესასწაული იყო, რომლის დროსაც მგელი ბაჭიას, მელა მწყერს, დათვი შველს და ტურა ჭყიპინა ჭრელ გოჭებს ჯერ კაკლის სწრაფად მტვრევაში და მერე კი მის დარჩევაში ეჯიბრებოდნენ.

და აი, მაინცდამაინც ამ დღეს კუდჭუმულა ციყვუნას ისე ღრმად ჩაეძინა, ყვავის ჩხავილმა ძლივს გამოალვიძა.

— ვაიმე, მაგვიანდება! — თვალის გახელის-თანავე ციყვმა თათები თავში წაიშინა, მერე ნინდანინ ნითელი ბატოთით შეკრულ კაკლებს დაეჭიდა და, გოზინაყს მისი თათი რომ არ დაჰკლებოდა, ფუღუროდან ვერცხლის-ფრად ანთებული, გირჩებით მორთული ნაძვისკენ კისრისტებით გაიქცა.

არბის ციყვი აღმართზე, თავს არ ზოგავს; არბის, რაც შეუძლია სწრაფად, მაგრამ



იმდენი კაკალი მიაქვს, თან წინ ისე უშნოდ უფრიალებს ბაფთა, თვალაჭრელებული ვერაფერს ხედავს.

- ზუსტად იმავე გორას საახალწლო დუდუნ-დუდუნით მიუყვებოდა დათვი. თან მთელი ტყის იმედი – თაფლით სავსე ქოთანი მიჰქონდა. ჰოდა, ისე დინჯად მიდიოდა, კუ გაასწრებდა, მაგრამ დათვს ეს არ ადარდებდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თაფლისკენ თათი არ წასცდენოდა. ცოტათი იმისი ეშინოდა, ყინულზე ფეხი არ დაცურებოდა და ძალიან, ძალიან ფრთხილობდა.

ალმართს დაღმართი მოჰყვა. ციყვი დაღმართზე კიდევ უფრო სწრაფად ჩარბოდა.

- მოჩეარეს მოუგვიანდეს, ვერ გეწევი, ცოტა ნელა იარე! – დროდადრო დასჩხაოდა ყვავი.

- ეგლა მაკლია, მჩხავანას რჩევას ვუგდო ყური. ბარემ ისიც მითხარი, ყელის ჩასაკოკლოზინებლად გოზინაყის რამდენი ნაჭერი ავილო! – იმის ნაცვლად, კარგი რჩევა ყურად ეღო, ციყვმა ყვავს უკმეხად უპასუხა და მუშტად შეკრული მარჯვენა გოროზად მოუქნია.

- სწორედ ამ დროს შეეჯახა დათვს. მსხვილ-მსხვილი კაკლები აქეთ-იქით დაიფანტა. თან საშინელი ჭახანიც გაისმა – ქოთანი, არც მეტი, არც ნაკლები, 2018 პანაწინა ნატეხად იქცა და თაფლი ძირს დაიქცა.

ციყვის დაუდევრობით, იცით, კიდევ რა დაშავდა? სანამ ახალ კაკალსა და თაფლს იშოვნიდნენ, პირველად შემობრძანდა ახალი წელი, რომელსაც სამზევეთის ტყე გოზინაყის მზადებაში გართული შეხვდა.



ანა მამუკალაშვილი

ზამთარი

ბებიკომ რომ მარიკოს
მოუქსოვა წინდა,
ყოველ დილას გოგონას
უთოვლობა სწყინდა.
არ დამდგარა ზამთარი,
ჯერ ფერები ფერობდა,
თოვლის ფიფქებს ეძინათ,
შემოდგომა ჭრელობდა.
მერე უცბად გახუნდა
ჩვენი თეთრი ღრუბლებიც
გახდნენ ნაცრისფერები.
– ერთი, იქით გახედე,
დათოვლილან მთები,
ჩემი ხელთათმანები
დაამთავრე, ბები?
ვითმინე და ვითმინე,
დამყურებდა ზეცა,
რაც ზამთარს უხდებოდა,
ყველაფერი მეცვა.

მოწყენილია ჭაღარი

აივლ-ჩაივლის ქირქილით
დეკემბრის ქარი, აშარი,
ფიფქი მიმოაქვს ცივ-ცივი
და ღრუბლის ქულა შავ-შავი.
ხან დევი, კოპებშეკრული,
ხან განენილი თავშალი.
მოწყენილია ჭაღარი,
ტანსაცმელშემოძარცული,
მონატრებია ზღაპარი
კალთაშრიალა ზაფხულის.
ჭაღარს ამშვიდებს ღაბუა
გოგო, წამნამებფახულა:
— სულ მალე თოვლის ბაბუა
თეთრ ნაბადს წამოგახურავს.

მხატვარი
სრსო შალიგაშვილი




ეკა ქარჩავა

ახაღი წერია

ფიფქებმა გადაფარეს
ეზო, მთა და ბარი,
ახალ წელს ვეგებებით —
ღიად არის კარი.
ჩამიჩი და ლელვის ჩირი,
ხილი, კანფეტები,
ჭრელაჭრულა ნაძვის ხე და
ბევრი ფანტელები...
ხალისობენ პატარები:
ლულუ, ნინო, მათე,
თოვლის ბაბუს მოლოდინში
ყველა ღამეს ათევს.
ნაირფერად შეფუთულა
ბევრი საჩუქარი:
მანდარინი, შოკოლადი,
ტკბილი ნაზუქები.
თორმეტ საათს ველოდებით,
წუთი წუთზე მოვა,
ამ განწყობას ალამაზებს
გარეთ თეთრი თოვა.



ნახატი ავტორისა



პოვონის იტუნდა ვერ

დაზამთრდა. არემარეს სიცივე გაუბატონდა – დღე გაანამცეცა და ღამე გაადევყაცა. ტბები თუ მდინარეები მიყინ-მოყინა, მთა-ბარს თუ ქალაქებს, სოფლებსა თუ მდელოებს თოვლი საპნად გადააფარა და ბუნება გაზაფხულამდე მიაძინა.

ცის უსასრულობაში, ღრუბელთა შორის, ერთი სახლი ეკიდა, რომელშიც და-ძმა – მზე და მთვარე ცხოვრობდა. როდესაც მზე სახლში არ იყო, მინაზე დღე იდგა. ამ დროს მთვარე საწოლში ნებივრობდა და ძმის დაბრუნებას ელოდა. მზე დედამინას გარს შემოუვლიდა, სახლში დაღლილი შეგორდებოდა და დაიკოს ღამის გასანათებლად გაუშვებდა. მთვარეც დედამინას ერთს შემოუფრენდა და ძმის ჯერი დგებოდა. ლვთის ნებით ასე იყო, ასე არის და იქნება მუდამ.

– მზეკუნა, გაიღვიძე, გეყო საწოლში კოტრიალი. გარეთ გადი, შენი სითბო დაასხივე, თორემ ქვეყნიერება გაიყინა!

– გარეთ ცივა? – ცხრა თვალი ჭყიტა მზემ.

– ისე რა, – მიუგო დაიკომ.

– ჩემო ლამაზო, იცი, რა დამესიზმრა?

– რა? – საწოლის გვერდით სკამზე წამოსკუპდა მთვარე.

– რა და, თითქოს ბავშვებთან ჩავედი, ვიგუნდავე, ციგით ვისრიალე და ძალიან გავერთე. რა კარგი ყოფილა თოვლში თამაში!

– ჩემო ძამიკო, მე ყოველ ღამით ჩავდივარ და თოვლში დავბაჯბაჯებ, ციგითაც დავქრივარ, მაგრამ რად გინდა?! ამ დროს ბავშვებს სძინავთ და მარტო თამაში ძალიან მომბეზრდა. შენ რომ ჩახვიდე, ცუგრუმელები კი დაგხვდებიან, მაგრამ, ისეთი ცხელი ხარ, მთელ თოვლს თვალის დახამხამებაში დაადნობ, ეგ კი არადა, შეიძლება ნაადრევი გაზაფხულიც კი მოიყვანო, ხეები გაყვავილდება, იები და ენძელებიც ამოვლენ...

– აბა, რა ვქნა? – მოიწყინა მზემ.

მთვარე ჩაფიქრდა:

– უი, – გახარებულმა წამოიძახა. კარადასთან მივიდა. – ცეცხლგამძლე პალტო უნდა ჩაგაცვა. მარცხენა სხივებს მარცხენა სახელოში გაუყრი, მარჯვენას – მარჯვენა-

ში. სხივის წვერებზე ცეცხლგამძლე თათმანებს გაიკეთებ და ჩადი, ბატონო, იგუნდავე, რამდენიც გინდა. თავზე კი ეს ქუდი ჩამოიფხატე, ესეც ცეცხლგამძლეა, – პალტო გაუწოდა გავარვარებულ ძამიკოს.

მზე საწოლიდან მკვირცხლად წამოხტა:

– სწრაფად ჩამაცვი! – ცალი მხარის სხივები ერთად შეაგროვა და სახელოში გაუყარა, შემდეგ დარჩენილ სხივთა კონა მეორე სახელოში შეაცურა. პალტოს ღილები შეიკრა. – მართლა ცეცხლგამძლეა?

– კი, ძამიკო, ეს ტანსაცმელი ერთმა კუდიანმა ვარსკვლავმა დამიტოვა. ისიც საგუნდაოდ ყოფილა ბავშვებთან და მითხრა, რომ პატარებმა ვერაფერი შეატყვეს...

– კარგიაა, – ჩაილაპარაკა მზემ და თავზე ქუდი ჩამოიფხატა.

მთვარემ სახელოებიდან გამოყოფილ სხივთა წვერებზე თათმანები გაუკეთა, ქუდი გაუსწორა, პალტოს საყელო აუნია და ყელზე ლამაზი შარფი შემოახვია.

– აუუ, როგორ დამცხაა, – წაიწუნუნა მზემ.

– გუნდაობა თუ გინდა, უნდა გაუძლო, – დაამშვიდა დაიკომ და კარებამდე მიაცილა. – იცოდე, იქ დიდხანს არ დარჩე, თორემ უშენოდ ქვეყნიერება გაიყინება.

– ვიცი, ვიცი, – მიაძახა ძამიკომ და მიწისკენ დაეშვა.



ბევრი დრო არ დასჭირვებია, პირდაპირ მოგუნდავე ბავშვებთან გაჩნდა. ანცმა კუდრაჭებმა მზე, რა თქმა უნდა, ვერ იცნეს, ერთიორი გუნდაც კი მოარტყეს. მზემაც გააკეთა რამდენიმე გუნდა და ბავშვებს ესროლა. როდესაც გუნდაობით გული იჯერა, ვიღაცას ციგა სთხოვა და რამდენჯერმე თავდალმართიდან დაეშვა. ის იყო, კიდევ უნდა ჩასრიალებულიყო, რომ სახლებიდან მშობლებმა ბავშვებს გადმოსძახეს: სასწრაფოდ ამოდით, გარეთ ძალიან აცივდაო!


ახლა კი მიხვდა მზე, რომ მის გარეშე ბავშვების ურიამული შეწყდებოდა და ყველას სახლებში ააბრძანებდნენ. ამიტომ ახალ მეგობრებს დაემშვიდობა და ცისკენ ალივლივდა. პალტო ცაშივე გაიხადა, რათა არემარე დაეთბო და ბავშვებს არ მოეწყინათ. სახლში ერთი წუთით შევიდა, მძინარე მთვარე არც გაუღვიძებია, ცეცხლგამძლე ტანსაცმელი სკამზე გადაკიდა და ცაზე დედამიწის გასათბობად დაეკიდა.

სიყვარულით დაჰყურებდა იმ ადგილს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ იგუნდავა...

ბედნიერი იყო მზე...



მხატვარი
გალეაზ კუსაშვილი



გვერდი მოამზადა 091 კეკელიძე

ტრადიციულად, 31 დეკემბრის ღამეს დავემშვიდობებით გასული წლის მფარველს – ცეცხლოვან მამალს, ხელსაც დავუქნევთ, თუმცა იცოდე, რომ ის ჯერ არსად აპირებს წასვლას – 2018 წლის 16 თებერვლამდე ტახტი მისია და არ სურს, ადგილი დაუთმოს სხვა ცხოველს.

2018 წლის მფარველი ყვითელი ძალი კი კარზე აკაკუნებს, კუდს აქიცინებს და ყეფს.

ძალი მშვიდობიანი, უწყინარი, პატიოსანი, სანდო ცხოველია, რა თქმა უნდა, თუ არ გავაბრაზებთ.

ძალის ერთგულებაზე ლეგენდები დადის. ერთი ძველი ასირიული იგავი გვიამბობს:

ერთ კაცს ძალი ჰყავდა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ერთგულად დარაჯობდა პატრონის სახლ-კარს. გავიდა დრო. ძალი დაბერდა. პატრონმა გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა ის, ნავში ჩაისვა, კისერზე მძიმე ქვა მიაბა და მდინარეში შეცურა. ნაპირიდან შორს გასულმა ძალი ხელში აიყვანა და ნებალში გადააგდო. ნავი ისე შეტორტმანდა, რომ ადამიანმა თავი ვერ შეიკავა და ისიც მდინარეში გადავარდა. ძალმა ქვამობმული თოკის ყულფისგან თავი გაითავისუფლა, იმის მაგივრად, რომ ბოროტი პატრონისგან თავი გადაერჩინა, დასახრჩობად განწირულ კაცთან მიცურა, ტანსაცმელში პირი ჩავლო და ნაპირზე გამოიყვანა. ადამიანი გადარცოცხალი იყო, პატრონი მოვლასა და მზრუნველობას არ აკლებდა.



რამდენი პროფესია აქვს ძაღლს?

ძალი მცველიც არის, გეოლოგიც, სანიტარიც, მაშველიც, ალპინისტიც, გამნაღმველიც, მსახიობიც, კოსმონავტიც.

აღმოსავლეთ-ევროპული ნაგაზი, სახელად ჯულბარსი, ერთადერთი ძაღლია, რომელმაც მიიღო ჯილდო „სამხედრო დამსახურებისათვის“. ის მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, იყო გამნაღმველი ბატალიონის წევრი და აღმოაჩინა დაახლოებით 7000 ნაღმი და 150 ჭურვი.



რეკორდსმენი ძაღლები

მთელ მსოფლიოში არაერთი ძაღლის ძეგლი დგას: პარიზში – სენბერნარის რომელმაც ზვავის დროს 41 ადამიანი გადაარჩინა; ბერლინში – უსინათლოთა თანმხლები ძაღლის; შოტლანდიაში, ქალაქ ედინბურგში – ბობის სახელით ცნობილი სკაიტერინისა, რომელიც 14 წლის მანძილზე გარდაცვლილი პატრონის საფლავს იცავდა.

ძაღლი, სახელად სოტერი, რომელმაც სხვა ორმოცდაცხრა ძაღლთან ერთად იხსნა ძველბერძნული ქალაქი კორინთო.



ლეგენდა მოვითხოობს, რომ ერთხელ, დამით, როდესაც ქალაქს მტერი მოადგა, კორინთოს მცველებს კი ეძინათ, ქალაქის მისადგომებთან მომხდურთ ერთგულმა მცველებმა, ძაღლებმა გაუმართეს ბრძოლა. ჩაძინებულმა ჯარმა მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა და გაეშურა საპრძოლველად, როცა ერთი ძაღლი-და იყო ცოცხალი, სახელად სოტერი. მტერი განადგურებული იყო; ქალაქი გადარჩენილი, ხოლო სოტერმა მამაცობისთვის ჯილდოდ მიიღო ვერცხლის ყელსაბამი წარწერით: „სოტერი – კორინთოს მცველი და გადამრჩენი.“

რეკორდსმენი ძაღლები

გინესის რეკორდების ცნობილ წიგნში, სადაც დაუჯერებელი და საოცარი რეკორდებია თავმოყრილი, ადგილი ძაღლებსაც ეთმობა. მაში, ასე:

- ყველაზე მაღალი ძაღლი გერმანული დოგის ჯიშისაა და უკანა ფეხებზე მდგარი 2.20 მეტრია.
- ყველაზე პატარა ძაღლია ჩიხუახუა სახელად Heaven Sent Brandy. მისი წონა 900 გრამია, სიმაღლით კი თუნუქის ქილას არ აღემატება.
- ყველაზე სწრაფი ძაღლია გრეიპაუნდი, სახელადსტარ ტეიტლი. მისი მაქსიმალური სიჩქარე 67.22 კმ.სთ-ია. რეკორდი 1994 წლის შემდეგ ვერავინ გააუმჯობესა.
- გინესის რეკორდსმენთა სიაში ყველაზე ტიტულოვანი ძაღლის სტატუსით შევიდა ჩაო-ჩაო, სახელად „მეფე სოლომონი“. მას სხვადასხვა გამოფენაზე მიღებული აქვს 78 ჯილდო.



რკინი თუ არა, რომ...

- ძაღლის ცხვირის ანაბეჭდი ისეთივე უნიკალურია, როგორც ადამიანის თითის ანაბეჭდი, არასდროს ემთხვევა სხვას.
- რინ ტინი პირველი ჰოლივუდელი ვარსკვლავი ძაღლია. ცნობილი მსახიობების მსგავსად, თავის 22 კონტრაქტს თავადვე მოაწერა ხელი – თათის ანაბეჭდით.
- @ – ამ ნიშანს ჩვენ ძაღლუკას ვეძახით, მაგრამ ბევრ ქვეყანაში სხვა სახელი აქვს: პოლონელები მას „მაიმუნს“ ეძახიან, ტაივანელები – „თაგვს“, ბერძნები – „იხვს“, იტალიელები და კორეელები – „ლოკოკინას“, უნგრელები – „ჭიას“, შვედები და დანიელები – „სპილოს ხორთუმს“, ფინელები – „კატის კუდს“, ან „მიაუს“.



რას უნდა ველოდოთ ამ წელს?

2018 წლის მფარველი ცხოველი, ყვითელი ძაღლი, კეთილგანწყობილი იქნება იმ ადამიანების მიმართ, ვინც ნდობასა და პატივისვემას იმსახურებს, ვისაც მშვიდობა და პარმონია მოაქვს, ვინც სხვებს ეხმარება. ძაღლი ვერ შეეგუება ქედმაღლობასა და ბაქიაობას, ტყუილსა და ლალატს. ამ თვისებების მქონე ადამიანებს 2018 წელს კარგი არაფერი ელით.

ახალი ნელი ფყვჟო

იცი, ტყეში ახალ წელს
როგორ ეგებებიან?
ნაძვზე შემოსკუპულან
ბუ, კოდალა, მელია.

კენწეროზე ციყვი ზის,
დაბლა კურდღლის ბაჭია,
ყვავს თავისი ბახალა
გირჩით გაუპრანჭია.

თოვლის პაპაც მოსულა
და თვალს ვეღარ აშორებს
ნაძვის სეზე შემომსხდარ
ცოცხალ სათამაშოებს.

ნელი

ჩემო თოვლის ბაბუა,
მენატრები ძალიან,
გავიგე, რომ ბავშვებთან
გულით მოგიხარია.

ისიც ვიცი, ხურჯინი
საჩუქრებით სავსე გაქვს,
ალბათ, როგორ დაგლალა
მძიმე ტვირთის ტარებამ!

ჰოდა, იცი, რას ვნატრობ,
თოვლის ბაბუ, საჩუქრად?
საახალწლოდ ეგ სავსე
ხურჯინი რომ მაჩუქრ.

საჩუქრის თოვლის კაპა

თოვლი მოდის, წმინდა, წმინდა,
ჩამოვკიდე დიდი წინდა,
ჩავალაგე გოზინაყი,
შოკოლადი, ვერცხლის წვიმა.

მინდა, კეთილ თოვლის პაპას
დავახვედრო საჩუქრები,
ფეხი რომ არ გაუცივდეს,
ჩავულაგე ფაჩუჩებიც.

ნახეთ, ნახეთ, ნაძვის ხესთან
თოვლის გუნდა როგორ ბუქნავს!
— თოვლის გუნდა კი არადა,
ბაჭიაა, კუდბუთქუნა.

ფიფქის ქუდი დაუხურავს,
ფიფქის კაპას აფრიალებს,
დღეს მოუტანს თოვლის კაპა
სტაფილოებს — ბაფთიანებს.



მხატვარი
ნატალია კუცია

გამარჯობა

ცა თეთრ ღრუბლებს აქუჩებს,
მალე თოვლასაც დადებს,
ფისო იქსოვს ფაჩუჩებს –
ჩაითბუნებს თათებს.

ლალი ჯაფარაშვილი

გაჭია ეს ფოსტები

თოვლს ნაკვალევი აჩნია,
სკუპ-სკუპით მოხტის ბაჭია,
თან მოაქვს შაქარყინული;
გადმოირბინა ბინული,
რომ გადაევლო ტრიალ ველს,
ფიფქებმა ჩაიშრიალეს,
– ნავშალოთ ნაფეხურები,
არ დაედევნონ ტურები!
თელამ შეჰლიმა მთვარიანს,
– რა კეთილები არიან!



გივი ჩილვიცაძე

ქარში ქანაობს ქორაფი,
ქარაფთან ქრიან ქორები,
ქედებზე თოვლი მოსულა –
ქათქათებს თეთრად გორები.

ქნის გასაფეხობი

შავი შაშვების შვილებმა
შვრია აკენკეს ყანაში,
შინდის შტოებზე შეფრინდნენ,
შექნეს სიმღერა-თამაში.

ციცქა ციცვებმა ცაცხვებში
ცხრაკარა ბინა გამართეს,
ცხრაგვარი ხილით ავსებენ
ცარიელ გოდორ-კალათებს.

თაგუნი ტუსის ხელი ერთ წერი

მიტოვებული სახლის სხვენზე თაგუნა ტუსის დაედო ბინა. მის გარდა იქ სულიერს ვერავის ნახავდით. სამაგიეროდ, სახლი სავსე იყო ნივთებით, რომლებიც თაგუნას გასართობად სჭირდებოდა.

ტუსი მხიარული ბიჭია. ალბათ, იკითხავთ, ასეთი მხიარული თუა, ამ მიტოვებულ სახლში რას აკეთებს სრულიად მარტო? ჰოდა, მხიარული რომ არის, იმიტომაც შეძლო აქ გაჩერება. თავს მოწყენის უფლებას არ აძლევდა, ხან რას მოიგონებდა, ხან – რას. აი, ახლაც ახალი წელი ახლოვდებოდა, ტუსის კი ძალიან გვიან გაახსენდა ეს, მას მერე, რაც ქუჩიდან შემოესმა ხმა: „ახალი წლის დილა დგება, ნატვრა აგვიხდებაო...“

– რაო? – ეს როგორ გამომრჩა! ვახ, ეს რა კარგი ამბავია! – აცმუკდა თაგუნა და მაშინ ვე დაფაცურდა, მიდგა–მოდგა.

– საჭიროა ნაძვის ხე! – ჩაიბუტბუტა დათავისი დაკვირვებული მზერა მოავლო სხვენს. მართალია, დაუანგული მილის გადანაჭერის მეტი ვერაფერი იპოვა, მაგრამ არ დაღონებულა, გარეთ გაცუნცულდა და ბასრი კბილებით ნაძვის ტოტების გადაღრღნას შეუდგა. ცოტა ხანში მიხვდა, რომ არც ისე ადვილი საქმე წამოიწყო, მაგრამ არ დანებდა, ერთი, ორი, სამი პატარა ტოტი მიწაზე ეგდო.

– კიდევ მეტია საჭირო! – შემოუძახა თავს თაგუნამ და საქმე განაგრძო: – ოთხი, ხუთი, – ერთიც დააააა, აი, საკმარისია! – შეჰყვირა კმაყოფილმა.

რის ვაი-ვაგლახით შეათრია ტოტები სახლში, მერე სხვენზე აიტანა, სული მოითქვა და აი, იმ დაუანგულ მილზე ტოტების ჩამოცმას შეუდგა, მერე სულ

ნაირ-ნაირი პანია ნივთები შეაგროვა და წინვებს შორის წამოასკუპა.

– აჲა, ნაძვის ხე მზად არის! ახლა თოვლის პაპა გვჭირდება! – შესძახა. მერე საკუთარ თავზე ოდნავ დიდი სათამაშო ჯუჯა იპოვა, ცოტა შეალამაზა: ძველი ქუდი ჩამოაცვა, ხელში ჯოხი მისცა და ბედნიერი ჩამოჯდა შორიახლო.

„ახალი წლის დილა დგება, ნატვრა აგვიხდებაო ...“ – გულში ღიღინებდა, – ნატვრა!

– ახლა ხომ ჯადოსნური ღამე დგება, ესე იგი, ნატვრის ახდენაა შესაძლებელი. მოარბენინა ფურცლის ნაგლეჯი და თავის სიცოცხლეში პირველად ოცნება გაანდო ასე იდუმალ თოვლის პაპას – ვინ იცის, იქნებ, მართლაც, იქნებ, მართლაც ხდება ასეთი რამ...

„ძვირფასო თოვლის პაპა!

მე ერთი მამაცი, მხიარული და გულკეთილი თაგუნა ტუსი ვარ, მაგრამ, იცი, სულ მარტო ვარ... ძალიან გთხოვ, მეგობარი გამომიგზავნო.

ერთი ამბით გელი.“

ნაძვის ხეზე ჩამოკიდა თავისი სურვილი და ფანჯრის მიღმა აციმციმებულ ქალაქზე მიცეცებულს ჩაეძინა.

ადრიანად გაეღვიძა, გაიზმორა და უცბად მოვიდა გონს, მაშინვე მიცუნცულდა ნაძვის ხესთან და რას ხედავს: წერილი აღარ ჰქიდია ტოტზე, მაგრამ არც საჩუქრის მსგავსი ჩანს რამე. ტუსის, ის იყო, იმედი გადაეწურა, რომ კარზე დააკაკუნეს. თაგუნამ ფრთხილად გაიხედა ჭუჭრუტანიდან: ხედავს, ყუთია, მეტი არაფერი მოჩანს. ფეხაკრეფით მიუახლოვდა, დაყნოსა კიდეც და, საშიში რომ ვერაფერი ნახა, თავი გადახადა:



— გამარჯობა, მე თაგუნია პუსი ვარ. იცით, სულ სხვა მხარეს მივემგზავრებოდი მატარებლით და უცბად.... ვერ ვხვდები, აქ როგორ აღმოვჩნდი, — გაოცებული შესცეკროდა მშვენიერი თაგუნა.

— მე კი ვიციოი!.. — მხიარულად შესძახა ტუსიმ, — გინდა, ვიმეგობროთ?


და ისე, რომ პასუხს არც კი დალოდებია, პუსის სახლში შეუძლვა.

მხატვარი
როენა შელეგია

მისამის სარიტონაშვილი *მურა*

ბიძამ ძაღლი მაჩუქა,
კუპრისფერი, ღუნდულა,
ვინც კი ხელი შეახო,
ყველას შეუბუხუნა.
დღისით არ ეშინოდა:
ყეფდა, ყეფდა გაბმულად.
სუყველა ძაღლს მიქებდა:
— რა მურა გყავს,
რა მურა!


მაგრამ, როგორც შეღამდა,
სიბნელემ ცა გამურა,
უშიშარი მურია
შეაშინა ღამურამ.



ტექსტის ავტორი
და მხატვარი
გია ლაფაშვილი


დაწით აღმაშენებელი

(დასაწყისი „დილა“ №11, 2017)




1

თურქთაგან განთავისუფლებული ტერიტორიების დასაცავად მეფე დავითს მუდმივი ძლიერი ჯარი სჭირდებოდა. მან გამართა მოლაპარაკება ჩრდილო კავკასიის სტეპებში მომთაბარე ყივჩაყებთან.



3

ხელშეკრულების განმტკიცების მიზნით მეფე დავითმა ყივჩალთა მთავრის ასულ-გურანდუხტზე ჯვარი დაიწერა გელათში.



5

ამიერიდან დავითის დროშის ქვეშ 70 000 მეომარი იდგა.

2



ყივჩაყებთა მთავარი ათრახა შარალანისძე მუდმივ კონფლიქტში იყო რუსებთან და ამიტომ სიხარულით დასთანხმდა 40 000 მეომრის ოჯახებიანად საქართველოში გადმოსახლებაზე.



4

საქართველოს საზღვრისპირა ზოლში ჩასახლებულმა ყივჩალებმა ქრისტიანობაც მიიღეს და მალე გაქართველდნენ კიდეც.

6




დავითმა გააძლიერა თურქთა წინააღმდეგ შეტევა. დიდი ომი მოხდა ერუშეთან 1104 წელს. ამ ბრძოლაში დავითს სამი ცხენი მოუკლეს, მაგრამ ომიდან არ გამოსულა.



7

ბრძოლის შემდეგ მეფეს უბიდან იმდენი სისხლი გადმოელვარა, რომ მხლებლებს დაჭრილი ეგონათ, მეფემ კი პასუხად მხოლოდ გაიცინა – ეს ხმლის ღარიდან ჩამონადენი მტრის სისხლი ყოფილა.




9




8

მიუხედავად განუწყვეტელი ბრძოლებისა, მეფე ყოველთვის პოულობდა დროს წიგნის წა-საკითხად.



10

იმ დროისათვის დავითი მსოფლიოს ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო. რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა და ყველა ეროვნებისა თუ სარწმუნოების ადამიანს ერთნაირად ეპყრობოდა. ის უდიდესი ტოლერანტი იყო.



11

ერწუხის მერე, 1110 წელს მეფემ სამშვილდე აიღო, 1115 წ. – რუსთავი, 1117 წ. – გიში და ქალაძორი, 1118 წ. – ლორე.



12

ერთ-ერთ ბრძოლაში სულთან მუჰამედის 100 000 მეომარი 1500 მხედრით გაანადგურა... მთელ მსოფლიოში ქართველთა მამაცურ ბრძოლაზე ლაპარაკობდნენ. დავითს მესის მახ-ვილს უწოდებდნენ.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

15

შვედური ზღაპარი

საჩუქარი სანტა-კროაცის სისოფის

ჩრდილოეთის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა შესანიშნავი დურგალი, სახელად ანდერსონი. ერთხელ, ზუსტად ახალი წლის წინ, როდესაც მისი ცოლი და შვილები საახალნლო ნაძვის ხეს რთავდნენ, ანდერსონი შეუმჩნევლად გავიდა სახლიდან. ფარდული ში ჰქონდა წინასწარ მომზადებული ტომარა ტკბილეულით, ტკაცუნებითა და სხვადასხვა სათამაშოთი. მას უნდოდა, სანტა-კლაუსის ტანისამოსი ჩაეცვა, კარზე დაეკაცუნებინა და ასე გაეხარებინა თავისი პეტერი, მართა და ოლაფი.

დურგალმა საჩუქრები მარხილში ჩააწყო და პარმალისკენ გასწია. მისი სახლი შემალებულ ადგილას იდგა, ანდერსონს სიჩქარეში ფეხი დაუცდა, მარხილში ჩავარდა და ქვემოთ ჩასრიალდა. უცბად – ბუქე! გზაზე მიმავალ ვიღაც კაცს დაეჯახა და ნამქერში ისე გადაკოტრიალდა, რომ აღარ იცოდა, სად ჰქონდა ხელები და სად ფეხები.

– ძალიან გთხოვთ, მაპატიეთ, – უთხრა ანდერსონმა თოვლიდან ამოფოფხების შემდეგ.

– არა, ეს ჩემი ბრალია, – ბოლიშობდა უცნობი, რომელიც მეორე ნამქერიდან მოცოცავდა. ანდერსონივით მასაც ქურქი ეცვა და თავზე სანტა-კლაუსის წითელი ქუდი ეხურა.

– ჩემნაირად გამოწყობილხარ! – გაეცინა ანდერსონს, – შენც შვილების გართობა გადაწყვიტე? – უთხრა უცნობს და ხელი გაუწოდა. – მე ანდერსონი მქვია, დურგალი ვარ.

– მე კი სანტა-კლაუსი ვარ.

ანდერსონს ისევ გაეცინა.

– ახალი წელი საუკეთესო დროა ხუმრობისთვის, გართობისა და მოჩმახული ამბებისთვის.

– იცი, რა ვიფიქრე, – უთხრა უცნობმა. – უკეთესი ხუმრობა რომ გამოგვივიდეს, მოდი, ადგილები გავცვალოთ: მე შენს შვილებს წავუღებ საჩუქრებს, შენ კი ჩემები მოინახულე. ოლონდ ეს ტანსაცმელი გაიხადე.

ანდერსონი ჩაფიქრდა.

– აბა, როგორ გამოვწყო?

– გამოწყობა რა საჭიროა, ჩემი შვილები

ისედაც ყოველდღე ხედავენ სანტა-კლაუსს, ნამდვილი დურგალი კი არასოდეს უნახავთ და ძალიან გაუხარდებათ!

მართლა სანტა-კლაუსი ყოფილაო, გაიფიქრა ანდერსონმა. სმამალლა კი იკითხა:

– მაგრამ შენს შვილებს რა ვაჩუქრე?

– საჩუქრები? – ჩაფიქრდა სანტა-კლაუსი. – თუ ნამდვილი დურგალი ხარ, წაიღე ფიჭვის ფიცრები, ხვეწი, ბურლი, ჩაქუჩი და დანარჩენს თვითონ მოიფიქრებ.

ანდერსონმა ფარდულიდან ხელსაწყოები აიღო და ტყეში, სანტა-კლაუსის სახლისკენ გასწია. გზას როგორ მიაგნო? ამაზე ადვილი რა არის, ნაფეხურებს გაჰყვა არყის ხის კორომამდე, შემდეგ მდელოზე მდგარ ორ ფიჭვამდე, შემდეგ კი წაქცეულ ხემდე, რომლის ქვეშაც მიწური იყო. განაკაფის სამი კუნძიდან სამი ბავშვის ცხვირი, ცხვირების ზემოთ კი წითელი ქუდები მოჩანდა. ისეთი, როგორიც სანტა-კლაუსს ეხურა.

– ვინ ხარ? – იკითხა სამმა სანტა-კლაუსმა.

– მე დურგალი ანდერსონი ვარ, თქვენი სახლის გზა კი მამათქვენ-მა სანტა-კლაუსმა მომასწავლა.

ბავშვებს ძალიან გაუხარდათ.

– ნამდვილი, ცოცხალი დურგალი?

ანდერსონი წელში მოიხარა, რომ წაქცეული ხის ქვეშ მიწურში შემძრალი იყო, მაგრამ შიგნით საკმაოდ დიდი სივრცე დახვდა. იატაკი მიწისა იყო. სავარძლების მაგივრად ჯირკები იდგა, სანოლზე ხავსი გადაეფარებინათ, თან ძალიან ფუმფულა. ყველაზე პატარა სანოლში



ყველაზე პატარა სანტა-კლაუსი იწვა. კუთხეში კი ბაბუა სანტა-კლაუსი იჯდა – მას ცოტა ყურს აკლდა.

– ვინ მოვიდა? – იკითხა მან.

– ეს ანდერსონია, ნამდვილი დურგალი, – ხმამაღლა დაიყვირეს ბავშვებმა. შემდეგ ანდერსონს აუხსნეს, რომ ბაბუა სიბერის გამოსულ ჯირკზე იჯდა და არასოდეს დგებოდა.

უფროსმა ბიჭმა ანდერსონს სახელოზე მოქარი:

– ციგის გაკეთება იცი?

ანდერსონმა თავისი ხელსაწყოები ამოალაგა, გამომშრალი ფიცრები აიღო და მსუბუქი, მოსახერხებელი და ძალიან სწრაფი ციგა გაუკეთა.

– მე კი თოჯინისთვის საწოლი მჭირდება! – ახლა მეორე სახელოზე მოქარია ნითელნაწავიანმა გოგონამ, – მინდვრის თავგვებს ვახვევ ან ციყვებს ვარწევ და დასაძინებლად ვაწვენ. მათ ძალიან უყვართ ჩემთან თოჯინობანას თამაში.

დურგალმა მას პატარა სათამაშო საწოლი გამოუთალა.

უმცროსი ბიჭი თავისითვის იდგა, მიწას ჩასჩერებოდა და არაფერს ითხოვდა.

– შენ რა გაჩუქო? – შეეკითხა ანდერსონი. ბიჭმა ჩაიჩურჩულა:

– არ ვიცი.

ანდერსონმა ფიჭვისგან ბზრიალა გამოუთალა.

– გამომართვი და გამხიარულდი.

შემდეგ ანდერსონმა მოკაუჭებული, გრძელი ფესვი იპოვა და თლა დაუწყო.

– ეს რა იქნება? – შემოეხვივნენ ბავშვები, მაგრამ დურგალს საქმის დამთავრებამდე არაფერი უთქვამს. მან ყველაზე მოხუცი სანტა-კლაუსისთვის ყავარჯენი გამოთალა.

– ეს შენთვის, ბაბუა! – ბავშვებმა ყავარჯენი მოხუც სანტა-კლაუსს მიუტანეს. მან ამოიოხრა, ოდნავ ჩაახველა და ჯირკიდან წამოდგა!

ყველაზე პატარა სანტა-კლაუსისთვის კი დურგალმა ბურბუშელებისგან ჩიტი გამოთალა, რომელიც წივწივას ჰგავდა.

– გმადლობ, დურგალო ანდერსონ, – დაიყვირეს ერთხმად ბავშვებმა. – ასეთი კარგი ახალი წელი საჩუქრებითა და ნამდვილი ცოცხალი დურგლით ჯერ არ გვქონია.

შინ დაბრუნებულმა ანდერსონმა მაშინვე იკითხა:

– აბა, მაჩვენეთ, რა საჩუქრები მოგიტანათ სანტა-კლაუსმა?

– ვითომ არ იცოდე, – ეშმაკურად გადახედეს ერთმანეთს ჰეტერმა, მართამ და ოლაფმა. – ეს საჩუქრები შენ არ მოგვიტანე სანტა-კლაუსის ტანსაცმელში გამოწყობილმა?

– აბა, ამაზე რას მეტყვით: დღეს ნამდვილი, ცოცხალი სანტა-კლაუსი შემხვდა. მასთან სახლში ვიყავი და მის შვილებს საჩუქრები დავუმზადე. ნამდვილი სანტა-კლაუსი კი თქვენთან იყო სტუმრად.

ბავშვებს გულიანად გაეცინათ.

– მამიკო, ეს შენ იყავი, გიცანით. პატარა ოლაფმაც კი იცის, რომ სასწაულები არ ხდება.

ანდერსონს გული დაწყდა:

– ეს ნამდვილი, ცოცხალი სანტა-კლაუსი იყო!

მაგრამ ჰეტერმა, მართამ და პატარა ოლაფმა ეს ამბავი მაინც არ დაიჯერეს. მაშინ დურგალი ანდერსონი ჩემთან მოვიდა და მთხოვა, რომ მისი მონაყოლი მელნითა და ბატის ფრთით ფურცელზე ჩამენერა. როდესაც რაღაცებს ჰყვებიან, ცოტა ტყუილებსაც უმატებენ ხოლმე, მაგრამ, რაც ამ ფურცელზე კალმითა და მელნით არის დაწერილი, ის სრული სიმართლეა.

თარგმნა
გიორგი კაპაბაძე



მარიამ ინკლაური

რას უკრავს ქანი?

სულ ზუის და ქრის, ზუის და ქრის.

აბა, ვის უნახავს საკუთარი თვალით ქარი? არავის. ხედავ მხოლოდ ქარით აწენილ თმებს, ქარით გადახრილ ხეებს, ქარით ჰაერში ატაცებულ ფოთლების კორიანტელს... იმ ქალაქებში, სადაც ადამიანებს სანაგვე ურნასთან მისვლა ეზარებათ, ქარი სხვა ნივთებსაც აფრიალებს ჰაერში: ეს ცელოფნის პარკიო, ეს პლასტმასის ბოთლიო, ეს ნაყინის ჭიქაო, ეს დაკუჭული კანფეტის ქაღალდიო. კიდევ, ღია ფანჯრებში ფარდებს აფრიალებს. ზოგს ქუდ-საც გასტაცებს. თუმცა, ამ უზარმაზარი, უხილავი „ზუზუნელას“ მნახველი ქვეყნად არავინ არის.

ეს ამბავი კი, რაც ახლა უნდა გიამბოთ, ერთ ქალაქში მოხდა. როგორც ყველა სხვა ქალაქში, აქაც ბევრი ლამაზი სახლი დგას. ბევრია ლამაზი ქუჩაც, გზაჯვარედინიც, აივანიც. სახლებს თუნუქის სახურავები აქვთ, აწონილი დამრეცი ფერდებით და ზედ უამრავი საკვამურით. სახლებში უფროსების გარდა ბავშვებიც ცხოვრობენ: გოგონებიც, ბიჭუნებიც, სულ პატარებიც, მოზრდილებიც, დებიც, ძმებიც. ზოგი ქერა, ზოგი შავგვრემანი, თაფლისფერ- თუ ცისფერთვალება, მხიარულები, მტირალები, მსუქნები და გაჩხინკულები... და, რაღა თქმა უნდა, ისინი, ყველა, დღეში რამდენჯერმე

შერბის ტუალეტში. მერე ხელსაც იბანენ და ისევ ოთახებში გამორბიან სათამაშოდ.

იმ დღესაც ასე მოხდა, როცა პატარა თანო ტუალეტში შევიდა და უცებ ჭერიდან რაღაც უცნაური ხმები მოესმა: – დუგ-დუგ-დუუუუუუ, დაბ-დაბ-ზუ-ზუ-ზუუუუუუ, დაგ-დაგ-დაგ-უუუუუუ...

თანოს შეეშინდა, წარბები შეჭმუხნა და ის იყო, ტირილი უნდა დაეწყო, ბებიკომ დაამშვიდა, ნუ გეშინია, ეს ქარის ხმაა, ქარი უკრავს ჩვენ საკვამურზეო...

დამავიწყდა მეთქვა, რომ თანო მარტო კი არ შევიდა ტუალეტში, თან ბებოც შეჰვა, რომ პატარა მოხერხებულად დაესვა „საფუსუნეზე“. „საფუსუნეც“ ბებოს მოგონილი სიტყვაა „ზუზუნელასავით“.

ამ დროს კი თანოს დაიკო, ელენე, დიდ ბუხრიან ოთახში მაგიდას მისჯდომოდა და თავის საყვარელ პრინცესებს ხატავდა. უცებ ბუხრიან უცნაური ხმა გაისმა:

– დუგ-დუგ-დუუუუუ, დაბ-დაბ-ზუ-ზუ-ზუუუუუუ, დაგ-დაგ-დაგ-უუუუუუ. ელენიკოსაც შეეშინდა. ბუხარს მიამტერდა. ხმა რომ განმეორდა, წამოხტა და ტუალეტში შევარდა, სადაც ბებო და დაიკო ეგულებოდა.

ელენიკოს ტუალეტის საპარო მილიდანაც იგივე ხმა მოესმა: დუგ-დუგ-დუუუუუუ, ზუ-ზუ-ზუუუუუუ, უფრო მძლავრად და მძლავრად გაჰყვიროდა მილი. შემინებულ ბავშვებს ბებიამ აუხსნა:

– ეს ქარია, მუსიკოსი ქარია და სახურავზე უკრავს.

– რას შვრება? – იკითხა ელენემ.

– უკრავს, უკრავს! ქარია და უკრავს, შემოჯდება ხოლმე სახურავზე და ჩაპერავს საკვამურებს. მართალია, ცოტა ბრაზიანი ხმა აქვს, მაგრამ ყური უნდა დაუგდო, რას მღერის. საკვამურები ქარის ბუკებია. – მშვიდად განაგრძო ბებომ.





მოვიდა... დივანზე ჩამოს-
ხდნენ და ბებოს ქარისა და
ხეების ამბის მოყოლა სთხოვეს.

— დიდი ხნის წინათ, თურმე, ქარს

გზა აპნევია და დაკარგულა. ბევრი უვ-
ლია, უქროლია, უქროლია. ბოლოს დაღლილი
დამჯდარა და ტირილი დაუწყია. არც არავის
სცოდნია ქარის სახლის სამყოფელი, რომ გზა
ესწავლებინათ შინისაკენ. ჰოდა, მაშინ, სწო-
რედ მაშინ, ერთ დიდ, ძალიან მაღალ ალვის ხეს
შესცოდებია პატარა ატირებული ქარი, აწე-
ულა თითის წვერებზე, აწეულა მაღლა-მაღ-
ლა, კიდევ და კიდევ, უფრო მაღლა და ზევით,
გაუხედავს და ქარის დედა დაუნახავს შორს,
ჰორიზონტზე, რომელიც თავის შვილ ქარს
დაექბდა. ხე ძალიან მოხრილა, აუყვანია მი-
ნაზე დამხობილი, მოკუნტული და ატირებუ-
ლი პატარა ქარი, შეუსვამს თავის კენწეროზე
და დედისკენ გაუგზავნია. ხეს ამდენი მოძრა-
ობისთვის ვეღარ გაუძლია და ფესვებამოგლე-
ჯილი მინაზე დაცემულა. გახარებული დედა-
შვილი ქარი ერთმანეთს ჩაჰვევია და მადლო-
ბის სათქმელად რომ მოუხედავთ, დაუნახავთ,
საბრალო ხე როგორ უსულოდ ეგდო მინაზე.
შეწუხებულან ქარები, ეს რა მოგვივიდა, ხე
ჩვენ გამო დაიღუპაო. იქვე, ხის ძირში პატარა,
ახლად ამოყრილი ნერგებიც ყოფილან, უთუ-
ოდ, იმ კეთილი, მაღალი ხის შვილები. მათი
სლუკუნი რომ გაუგია ქარს უთქვამს, გპირ-
დებით, რომ დღეიდან ჩვენ მეგობრები გავხ-
დებით და არასდროს არაფერს დაგიშავებთო.
ჩვენ დიდი ძალა გვაქვს და ბევრი სარგებლის
მოტანა შეგვიძლიაო. მართლაც, დამეგობრე-
ბულან ქარი და ხეები. ხშირად აკითხავდნენ
მათ ქარები, მოჰყავდათ ხეებთან მზეც, წვი-
მაც, ჩიტუნებიც... ხეებიც გაზრდილან, გამ-
რავლებულან და დაბურულ ტყეებად ქცეუ-
ლან, ამ ტყეებში ცივ წყაროებს ამოუხეთქავთ
მიწიდან. პატარი კი ისეთი გრილი და საამო

ბავშვები გაისუსნენ – იქნებ, გავიგოთ, რას
მდერისო. რა თქმა უნდა, ამ ქალაქში ქარსაც
ბევრჯერ დაუბერავს და მისი ხმაც ნაცნო-
ბი იყო ყველასთვის, მაგრამ ასეთი მელოდია,
მგონი, მართლაც არ გაეგონათ პატარებს.
თითქოს ვიღაც უზარმაზარ ბარაბანს ურტყა-
მდა და ბუკს ბერავდა: დუგ-დუგ-დუუუუუუ,
დაბ-დაბ-ზუ-ზუ-ზუუუუუ, დაგ-დაგ-დაგ-
უუუუუუ...

— როგორ უკრავს, ნეტა? ან, რას ამბობს?
— ჩაფიქრდა ელენე, თანოც გაისუსა. ბევრი
ვერაფერი გაიგო, მაგრამ, მთავარია, მიხვდა,
რომ საშიშიც არაფერი ყოფილა.

— რას და, ქარი თავის საყვარელ ხეებზე მდე-
რის, — თქვა ბებომ, — რომლებიც ადამიანებმა
მოჭრეს ქალაქში. მოჭრეს ქალაქის განაპირა
ტყეებშიც. ყველა ის ხე ქარის მეგობარი იყო,
ქარიც დაეძებს, დაეძებს, და რომ ვერ იპოვის
ნაცნობ ხეს, შემოჯდება სახურავზე და სევ-
დიანად ამდერებს საკვამურებს, ბუკებივით
ჩაჰებულავს და მთელ ქალაქს აგებინებს თავის
ხმას. მოჭრილ ხეებზე ჰყვება, ხან ბრაზი მო-
ერევა და უფრო საზარელი ხმით ამდერდება.
ხან კი ისე ბრაზდება, შეიძლება ადამიანებს
სარეცხის თოკიდან საღამურიც კი გასტაცოს.
ზედ პერანგი და შარვალიც მიაყოლოს. სვიტე-
რებსაც ემტერება, როცა ბრაზობს.

— რატომ მოჭრეს ადამიანებმა ქარის მე-
გობარი ხეები? — დაინტერესდა ელენე. ამა-
სობაში სატუალეტე „პატარა“ საქმეებიც და-
ამთავრა თანომ და უკვე სამთავე ითახში გა-

გამხდარა, საიდან აღარ მოდიოდნენ თურმე ადამიანები აქ დასასვენებლად, მოჰყავდათ თავიანთი ბავშვებიც და საღამოს პირზელა ბრუნდებოდნენ თავიანთ შორეულ სახლებში. მერე უფიქრიათ, მოდი, აქვე, ამ ტყესთან ავიშენოთ სახლები, რაღა შორიდან ვიაროთო, და ამ ტყესთან ქალაქიც გაუშენებიათ. მაგრამ თავიანთი სახლების ასაშენებლად თურმე ხეების მოჭრაც დაუწყიათ. გაბრაზებულან ქარები, ხან საიდან მიასკდებოდნენ ადამიანების მოტანილ სამშენებლო ქვიმას და ჰერერში გაფანტავდნენ, ხან საიდან, მაგრამ ისინი მაინც ჭრიდნენ ხეებს და ქარებს სულაც არ ეპუებოდნენ. ისე გამეჩხრებულა ტყე, იქაურობა ძნელი საცნობი გამხდარა. სამაგიეროდ, ხეების ტყე სახლების ტყედ გადაქცეულა და მას მერე ამ ქალაქში სულ აბეზარი ქარი ქრის... ასე ბერავს და ბერავს სახლების საკვამურებს და საპარო მილებს ბუკებივით, დაფდაფებივით, საყვირებივით და მოსვენებას არ აძლევს ბავშვებს თუ უფროსებს. მაგრამ, რაღა დროსია, ტყის ნაკვალევიც კი აღარსად ჩანს.

– ბებო, ვთხოვოთ დედიკოს და მამიკოს და ხეები გავაზრდევინოთ, ცოდოა ქარი უმეგობროდ..

– ჰო, ქარიც ცოდოა და ჩვენც ცოდონი ვართ უმეგობროდ. ხეები ხომ ადამიანების მეგობრებიც არიან.

ელენიკო ისევ სახატავს მიუჯდა. ჩუმად და დიდხანს ხატავდა. ბებო კექსს აცხობდა და ცალი თვალი ბავშვებისკენ ეჭირა. დაინახა, როგორი კმაყოფილი სახით ადგა ელენე და ბებიასკენ ნახატი გააფრიალა. ნახე! – განუცხადა გახარებულმა. ბებია ყურადღებით დააკვირდა აჭრელებულ ფურცელს: იჯდა ქარი სახლის სახურავზე, უბერავდა საკვამურებს. ზოგი საკვამური ფლეიტას ჰგავდა, ზოგი – სალამურს, ზოგი – საყვირს, ზოგიც – გრძელ ბუქს. აკონწიალებდა გრძელ ფეხებს „ზუზუნელა“. სახლი-საკრავიც ძალიან ლამაზი იყო. მგონი, ბებიამაც პირველად ნახა ქარი. აი, თურმე როგორი ყოფილა. ჰგავდა, კი, ნამდვილად ჰგავდა ქარი ქარს. სახლთან ახლოს კი... ულამაზესი ხეები დაეხატა ელენეს. არც ყვავილები დავიწყოდა, არც პეპელა და არც მზე.

თანო კი, პატარა თანო, ოთახებში დადიოდა და გაიძახოდა: დუგ-დუგ-დუუუუუ, ზუ-ზუ-ზუუუუუუ... თან სათამაშო სალამურს დაათრევდა. რა ექნა, პატარას, ქარისოდენა ძალა არ ჰქონდა, რომ ხმა მიეწვდინა მისთვის, შენი აღარ მეშინიაო. სიმღერა კი ქარზე ცუდად როდი გამოსდიოდა.

როცა ქარი მოგიკაკუნებთ ფანჯარაზე, როცა ხეები ტოტებს აქეთ-იქით გადახრის, როცა თმებიც აგენენებათ, იცოდეთ, რომ ეს ქარია, რომელიც ნაცნობ ხეებს დაეძებს და, თუ ვერ იპოვა, ჩამოსკუპდება სახურავზე, რომ სევდიანად ჩაჰეროს სახლების საკვამურებს და ყველა პატარას გააგებინოს მოჭრილი ხეების სევდიანი ამბავი...

და, კიდევ რაზეა ქარის სიმღერა? ხანდახან ქარი ბავშვებზეც მღერის. უყვარს ქარს მათი კულულების აწენვა, ჰოდა, უმღერის, გარეთ გამოდით და ერთად ვითამაშოთო. მერე რა, რომ ხმა ცოტა უსიამოვნო აქვს. ეგრე ყვავის ხმაც არავის მოსწონს და არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ეს გალობაა, ჭიკჭიკი. ან იქნებ ყვავიც მღერის მაღალი ხის კენწეროზე შესკუპული. იქნებ ქარსაც კი უმღერის, ნახე, ნახე, რამსიმაღლე ხე ვიპოვე, მოდი და ერთად ვითამაშოთო...

**მხატვარი
იულია ნიკოგოსოვა**





ნინო არსენაშვილი

გთბინაყი რა სიბეჭე

თორმეტთან საათის ისრები ერთმანეთს გადაეფარება და გაისმის: ძინ! ძინ! ძინ!

ასე დგება ახალი წელი დღესაც, ასე იყო ადრეც.

საახალწლო სამზადისში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია გოზინაყის მომზადებას. დედებისა თუ ბებიების მომზადებული გოზინაყით დაგვაბერებენ ყოველ ახალ წელს; პირში გოზინაყის ნაჭერს ჩაგვიდებენ და დაგვლოცავენ: ასე ტკბილად დამიბერდიო! არც მეტი და არც ნაკლები: ასე ტკბილად დამიბერდიო.

ბავშვობაში, როცა გემრიელ გოზინაყს მივირთმევდი, ამ სიტყვებსაც ისე ტკბილად აღვიქვამდი და შევიგრძნობდი, როგორც გოზინაყის გემოს. წლები რომ მომემატა, ეს დაბერება მაინცდამაინც აღარ მომენტნა. მით უმეტეს, რომ ჩემ გარშემო ბევრი მტკიცნეულად განიცდის ხანში შესვლასა და, მით უფრო, დაბერებასაც; ზოგი საერთოდაც ადრე ბერდება, იმიტომ, რომ ცოტა ზარმაცდება – აღარც სასეირნოდ დადის, სტუმრად წასვლაც ეზარება და მასთან მისული სტუმრების მასპინძლობაც; ვარჯიში ხომ ეზარება და ეზარება; შინ ქოთნის ყვავილებსაც კი აღარ უვლის და წყალსაც არ უსხამს. მერე ის ყვავილები დარდით ჭკნებიან და უგულისყურო ადამიანიც ადრე ბერდება.

დედაქემი ოთხმოც წელს რომ გადასცილდა, ამბობდა: სიბერე დიდი ჯილდოა უფლისებან, მაგრამ ძნელი სატარებელი ჯილდო.

საახალწლო ამჟავა

რიცხვთა ქალაქში საახალწლო ფუსფუსი იყო. 1 გამოეწყო და მეგობრებისთვის საჩქრების საყიდად გაემართა. ამისთვის ალგებრის დათოვლილ მოედანს მიაშურა, სადაც კვადრატის, კუბის თუ პირამიდის ფორმის მაღაზიების ტევა არ იყო.

1 დაფიქრდა, შეამჩნია, რომ რომბის ფორმის მაღაზიაში განსაკუთრებული რიცხვთმრავლობა იყო, ამიტომ თავადაც იქ შევიდა. შესვლამდე ქუჩაში ელექტროსაათს შეხედა, რომელიც **09:20** აჩვენებდა. იპოვე ეს დრო ისრებიან საათზე.

ჯილდოა. მართლაც, როცა ტკბილად დაბერდები, შვილები, შვილთაშვილები კარგად გყავს, ყურადღებას არ გაკლებენ და შენც ცდილობ, რომ კვლავ რაიმე სასარგებლო გააკეთო, თუმცა ძველებურად ენერგია აღარ მოგდევს (ჯანი აღარ მომყვება და მუხლიო – ასე წუხან სიბერეში), ამიტომაც არის, ალბათ, ძნელი სატარებელი ჯილდო. მაგრამ თუ ყოველ წელინადს, ახალი წლის დადგომისას დედა ან ბებია გოზინაყით დაგაბერებს და თან დაგვლოცავს: ასე ტკბილად დამიბერდიო და შენ მთელი წელი გემახსოვრება, რომ ყველანაირად უნდა ეცადო, ეს წელინადი ტკბილად გაატარო: არავისთან იჩხუბო, არ იზარმაცო: კარგად ისწავლო, ივარჯიშო, ისეირნო ბევრი, სტუმრადაც ხშირად წახვიდე და შენც კარგად უმასპინძლო შენთან მოსულ სტუმრებს. აუცილებლად ტკბილად დაბერდები, სიბერესაც მიიღებ ჯილდოდ და არც ამ ჯილდოს ტარება გაგიჭირდება ძალიან. ამიტომ სთხოვეთ დედებს და ბებიებს, ყოველი ახალი წლის დადგომასთან ერთად გოზინაყით ყელს რომ ჩაგიოკლოზინებენ, თქვენი დალოცვა არ დაავიწყდეთ: ასე ტკბილად დამიბერდიო!

მე ასე ვფიქრობ, შენ?



21



ნინი მრველი

ექვსი ქიმი შვენის ციცქას,
შვიდს ძვირად თუ იტყვი,
ზამთრის ციდან მოფარფატებს
თქვი რა ჰქვია?

თეთრი ფიფქით შეიმოსა,
მოეფინა მადლი,
სხვა ყველა ხეს საახალწლოდ
ჩრდილავს კოხტა *****

თხილის ბურბუშელას ქოჩით
შემკობილა რაკი,
ნაძვის ნაცვლად გურიაში
დადგეს *****



ნიგვზისა და თაფლის ნუგბარს
არ ექნება ნაკლი,
თუკი ყველამ ერთად დაჭრა
ტკბილი *****



დიდ-პატარას რა აჩუქოს,
მუდამ ამის ფიქრშია.
თოვლის ბაბუს ეხმარება
კოხტა გოგო *****

ზამთარია და ახალ წელს
ველოდებით თხოვნით:
– ნეტავ, წელსაც გამშვენებდეს
თეთრ-ფუმფულა *****

წლის კარგსაც და მთელი წლის ცუდს
აჯამებენ დღე-დღედ.
კარგი ცუდს თუ აჭარბებდა
კვლავ უხმობენ *****-ს.



საჩუქრების შესარჩევად 1 მაღაზიაში
ზუსტად 35 წელი გაჩერდა.
იპოვე ციფერბლატზე დრო, როცა მან
საჩუქრების შერჩევა დაასრულა.



თუმცა სალაროსთან იმხელა რიგი დახვდა, როცა
მაღაზიდან მოვიდა, ქუჩის ელექტროსაათზე უკვე
10:25 ენერა. ეს დროც იპოვე საათზე და ისიც
განსაზღვრე, რამდენ ხანს იდგა როგოში 1.

მზია მაქარიშვილი

საახალწერო

ტყეში, მყუდრო რესტორანში
მზარეულობს წიწკანა;
საახალწერო კერძები
ინტერნეტში ისწავლა.

იქვე ციყვი ფუსფუსებს,
გულმოდგინედ ამზადებს
ათასნაირ ტკბილეულს,
მართლაც თითებჩასაკვნეტს.

დარბაზის შუაგულში
ნაძვის ხე დგას ხასხასა,
– კენჭი ვყაროთ მორთვაზე,
დაიჩემა კაჭკაჭმა.

არ ისვენებს ირემი,
კუთხე-კუნჭულს ამოწმებს:
– ყველაფერი რიგზე?
არაფერი გამოგვრჩეს...

და სტუმრებიც გამოჩნდნენ,
მასპინძელო, დაგვხვდიო!
ფეხი ყველას კარგი გვაქვს,
ნუ გექნებათ დარდიო.

მოგილოცავთ ახალ წელს
საძმო, ოცი თაგვიო!
დიდი ხონით მოგვართვით
ტკბილი გოზინაყიო!

1 ავტობუსით დაბრუნდა შინ. ფანჯრიდან
მორთულ-მოკაზმულ ქუჩებს ათვალიერებდა.
სახლში ზუსტად **11:40** მივიდა. იპოვე ეს
ფრო ისრებიან საათზე და გამოთვალე,
რამდენი წუთი მოანდომა მან მგზავრობას.



ნათია ჯანაშია

გავიზაჩერ

აღარა ვარ ის პატარა ლეკვი,
თქვენ კი ისევ ფაფას მისხამთ ჯამში,
უკვე დროა, ვაკანატუნო ძვლები,
კბილები მაქვს მაგარი და ბასრი.

აღარა ვარ უმწეო და ციცქნა,
უკვე ხრინი შემერია ხმაში,
იმის ნაცვლად, რომ ვაფრთხობდე კატებს,
დამატარებთ იღლიაში გაჩრილს.

აღარა მაქვს მარტო ყოფნის შიში,
არც სიბნელის მეშინია, ვფიცავ,
უკვე დროა, რომ ვიცხვოვრო მარტო,
შემიჭედეთ ბუდრუგანა ხისგან,

მიმიჩინეთ ეზოს ერთი კუთხე,
სადარაჯოდ მომაბარეთ სახლი!
აღარა ვარ პანაწინა ლეკვი,
გავიზარდე, უკვე ძალლი გავხდი.



შინ მისულს სიურპრიზი ელოდა: **2** სახურავზე
დამალულიყო და ზემოდან კანფეტები გადმოაყარა.
მერე, ძირს ჩამოსულმა, ხელი ჩასჭიდა მეგობარს და

1 და **2** საციგურაო მოედნისკენ გაეშურნენ. ამ
დროს ჯერ კიდევ დღე იყო. საათი **12:15**
აჩვენებდა. იპოვე ეს დრო ისრებიან საათზე.

მეგობრები კარგად გაერთნენ, იციგურავეს,
იცელქეს და ამასობაში დალამდა კიდეც.



დიდ მოედანზე შეკრებილები
ახალი წლის დადგომას ელოდნენ,
1 და **2** კი არსად ჩანდნენ. საათის
ისრები მოუთმენლად ელოდნენ,
როდის გამოჩნდებოდა ჯადოსნური
ღამის დადგომის მაცნე ციფრი – **12**.
თუ არ მოვა, სულ გავჩერდებითო,
იმუქრებოდნენ. შეშინდნენ
ციფრებლატს შერჩენილი ციფრები და
საძებნელად სათითაოდ გაიკრიფნენ.
სად არ ეძებეს, ქუჩებში, ეზოებში,
სახლებში...

დაეხმარე მათ, აპოვნინე ცელები **1**
და **2**, რათა მათ, ხელჩაკიდებულებმა,
ახალი წელი მოყვანონ ამ ქალაქში.



მხატვარი რეზო გაპრიაძე

შურია „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის ძაგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკოლაძე
ნახატი ყდაზე: მიორგი ჩახანიძისა

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com,
 facebook: საპავშვილი გამომცემლობა დილა
 ფასი: 2.50 ლარი



ურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მეცნიერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო